აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისია

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №5

31/03/2025 **ქ. ბათუმი**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის სტრუქტურული ერთეულების დებულებების დამტკიცების შესახებ“ უსკოს 2018 წლის 27 აგვისტოს №7 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია, **ადგენს:**

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2018 წლის 27 აგვისტოს №7 განკარგულებით დამტკიცებულ:

ა) №1, დანართის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) დეპარტამენტი დაკომპლექტებულია, პროფესიული საჯარო მოხელეებისაგან, ადმინისტრაციული ხელშეკრულებითა და ასევე საჭიროების შემთხვევაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისაგან.“.

ბ) №1, დანართის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საოქმო სარეგისტრაციო და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსი არის საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელე, ასევე ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, რომელიც ხელმძღვანელობს უსკოს აპარატის საოქმო სარეგისტრაციო და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტს და ახორციელებს უსკოს რეგლამენტით, ამ დებულებითა და კანონმდებლობით მასზე დაკისრებული ამოცანებს.

ბ) დეპარტამენტის უფროსი თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

გ) №2, დანართის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) დეპარტამენტი დაკომპლექტებულია, პროფესიული საჯარო მოხელეებისაგან, ადმინისტრაციული ხელშეკრულებითა და ასევე საჭიროების შემთხვევაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისაგან.“.

დ) №2, დანართის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი არის საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელე, ასევე ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული

პირი, რომელიც ხელმძღვანელობს უსკოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს და ახორციელებს უსკოს რეგლამენტით, ამ დებულებითა და კანონმდებლობით მასზე დაკისრებული ამოცანებს.

ბ) დეპარტამენტის უფროსი თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

ე) №3, დანართის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) დეპარტამენტი დაკომპლექტებულია, პროფესიული საჯარო მოხელეებისაგან, ადმინისტრაციული ხელშეკრულებითა და ასევე საჭიროების შემთხვევაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისაგან.“.

ვ) №3, დანართის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ინსტიტუციური განვითარებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი არის საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელე, ასევე ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, რომელიც ხელმძღვანელობს უსკოს აპარატის ინსტიტუციური განვითარებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს და ახორციელებს უსკოს რეგლამენტით, ამ დებულებითა და კანონმდებლობით მასზე დაკისრებული ამოცანებს.

ბ) დეპარტამენტის უფროსი თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

ზ) №4, დანართის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) დეპარტამენტი დაკომპლექტებულია, პროფესიული საჯარო მოხელეებისაგან, ადმინისტრაციული ხელშეკრულებითა და ასევე საჭიროების შემთხვევაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისაგან.“.

თ) №4, დანართის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საფინანსო საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსი არის საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელე, ასევე ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, რომელიც ხელმძღვანელობს უსკოს აპარატის საფინანსო საბიუჯეტო დეპარტამენტს და ახორციელებს უსკოს რეგლამენტით, ამ დებულებითა და კანონმდებლობით მასზე დაკისრებული ამოცანების შესრულებას.

ბ) დეპარტამენტის უფროსი თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

პარმენ ჯალაღონია

თავმჯდომარე

ტარიელ გოგიტიძე

კომისიის მდივანი